კლიმატური ანომალიების გეოგრაფიული თავისებურებანი (საქართველოს მაგალითზე)

გიორგი დავითაშვილი

giorgi.davitashvili5734@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემა ეჭვგარეშეა, რომ დღეს დღეობით ერთ-ერთი ყველაზე მეტად განხილვადი და სენსიტიური თემაა როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე. კლიმატური ანომალიების საკითხი ცივლიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური და შეიძლება ითქვას პრობლემური ხდება. ამიტომ ნაშრომის მთავარი მიზანიც არის სწორედ ის, რომ პირველ რიგში მოხდეს ამა თუ იმ ანომალიის იდენტიფიცირება და შემდეგ უფრო უკეთ წარმოჩინდეს ის კავშირები, რაც არსებობს ერთის მხრივ ლანდშაფტებსა და მეორეს მხრივ ამ კლიმატურ ანომალიებს შორის (გეოგრაფიული თავისებურებანი). ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ასევე გახლავთ კლიმატური ანომალიების ზემოქმედებით სახეშეცვლილი ლანდშაფტების გამოვლენა და ამ უკანასკენლის გავლენა საზოგადოებაზე და ზოგადად ცოცხალ არსებებზე და რაღა თქმა უნდა პროგნოზები. სამომავლო პროგნოზები გვეხმარება ზუსტად თუ არა მიახლოებით მაინც დავინახოთ ის რეალობა, რაც შეიძლება დედამიწაზე დადგეს ახლო მომავალში (თუ რაიმე რადიკალური ზომები არ მიიღება)